მინისტრის სამშვიდობო დღის წესრიგი

რა პოლიტიკა აქვს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ, რა ცვლილებები შეიძლება შევიდეს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და რის გაკეთებას აპირებს სახელმწიფო სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში. ამ და სხვა საკითხებზე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ქეთევან ციხელაშვილს 2017 წლის 27 თებერვალს, "ენგურზე" გამშვები პუნქტების დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრეთ ["აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის მიერ გამყოფ ხაზზე ორსანტია-ოტობაიასა და ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელების დაკეტვა აბსოლუტურად მიუღებელია" – გამშვები პუნქტების დახურვას მინისტრი ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა].

პირველ რიგში, თქვენი სამშვიდობო პოლიტიკის ამოცანებით დავიწყოთ, რომელიც დაახლოებით, ერთი თვის წინ გამოქვეყნდა. ძირითადი მესიჯი კონფლიქტური რეგიონების მიმართ სამშვიდობო პოლიტიკის გატარებაა,

პრინციპში იგივე, რაც აქამდეც ცნობილი იყო. თქვენი აზრით, არსებითად ახალი მაინც რა არის ამ ამოცანებში?
ეს რვა მიმართულება არის ჩარჩო, რომლის შიგნითაც ჩვენ უკვე კონკრეტული ინიციატივებითა და წინადადებებით გამოვდივართ, და სიახლეებიც ამ ჩარჩოს შიგნით იქნება. ეს არის ჩარჩო და არა ინიციატივები. ამ პოლიტიკის დიდი ნაწილი არის უშუალოდ შერიგების და ჩართულობის პოლიტიკა, რომელიც ირიბად დეოკუპაციის ამოცანასაც ემსახურება. რუსეთთან დეოკუპაცია ერთ-ერთი მიმართულებაა, თუმცა, იცით, რომ აქ საგარეო საქმეთა სამინისტროც მუშაობს, ჟენევაში ვმუშაობთ. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა უკვე ამ ამოცანების შიგნით იგულისხმება. კონკრეტულ ნაბიჯებზე ჩვენ უკვე ვმუშაობთ და რაღაც მიმართულებები დაძრულია.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ალბათ, იმის ცოდნა, რა არის ეს კონკრეტული ნაბიჯები, სად მივდივართ ამ პოლიტიკით, ერთ, ორ წელში სად ვართ? უკვე რა კეთდება და რის გაკეთებას აპირებთ?
მაშინ იქიდან საუბრით დავიწყებ, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზის ლიბერალიზაციის ხანგრძლივი და შრომატევადი გზა წარმატებით დასრულდა. ეს ახალ თავს ხსნის ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საქართველოს მოქალაქეებისთვის უკვე ძალიან ხელშესახები და მნიშვნელოვანი სარგებელი ხდება ხელმისაწვდომი. ამ ამოცანების ერთ-ერთი მიამრთულება ზუსტად ის გახლავთ, რომ კონკრეტულად ეს და სხვა მიღწევები, სხვა სარგებელი, რომელიც საქართველოს უჩნდება პარტნიორებთან თანამშრომლობით, ხელმისაწვდომი გავხადოთ, ასევე, აფხაზებისა და ოსებისთვის და ორივე რეგიონში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, ჩვენი ამოცანაა, დოკუმენტები [საქართველოს პასპორტი] გავხადოთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი [შესაბამისი პროცედურების გავლით] ამ ორი ტერიტორიის მაცხოვრებელთათვის.

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი. მაგალითად, უკეთესი განათლება, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა – საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა, უკეთესი ჯანდაცვა, ეკონომიკური შესაძლებლობები, მათ შორის პოტენციურად სავაჭროც. ჩვენი მხრიდან მზაობა არსებობს.

კონკრეტული შეთავაზებები უკვე მიმდინარეობს მხარეებისთვის, თუ უბრალოდ სურვილის დონეზეა ქართული მხარისთვის ურთიერთობების გაღრმავება?

ერთია მზაობა, რომელშიც უკვე შეჯერებული ვართ და ეს არაერთხელ გაგვიცხადებია. პირველი ნაბიჯი ხომ პოლიტიკური ნების არსებობაა. მეორე არის ის, რომ გარკვეული საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი, რომ ახლა ეს მზაობა პრაქტიკულ მოცემულობაში ითარგმნოს. ძალიან ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. მაგალითად, განათლების მიმართულებით ახლახანს ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, განათლების სამინისტროს მიერ სოხუმში გაცემული დიპლომების ცნობა შეძლებისდაგვარად გამარტივებულად მოხდეს.

ეს ახალი პროცესია?

ადრეც იყო ეს შესაძლებელი განათლების მინისტრის ბრძანებით, მაგრამ უფრო რთული პროცედურა იყო და ახლა სხვა ალტერნატიული გზები გავაჩინეთ, მაგალითად, ონლაინ, სხვადასხვა ორგანიზაციის მეშვეობით და ა.შ. შესაბამისად, გვგონია, რომ ამით შეიძლება უფრო მეტმა ისარგებლოს.

რას ნიშნავს ეს, სოხუმში გაცემული დიპლომების ცნობა?

დეტალურად ვერ გეუბნებით ამ პროცედურას, იმიტომ ყველაფერს სწორი კომუნიკაცია სჭირდება. კომუნიკაციის სტანდარტული ფორმები ზოგჯერ ჩვენს სფეროში არ მუშაობს, ვინაიდან ჩვენი ამოცანა არ არის ქულების დაწერა და ხმამაღლა, ამა თუ იმ ნაბიჯის ბრიფინგით გამოცხადება. ამას ძალიან მოზომილი და სწორი კომუნიკაცია სჭირდება.

შემდგომი ეტაპი კომუნიკაციაა, რაც აუცილებლად მოხდება იგივე აფხაზებთან და ოსებთან. ზოგადად, ჩვენი ერთ-ერთი მიმართულება არის მზაობა დიალოგისთვის. ეს მზაობა დიდი ხანია განვაცხადეთ. არის გარკვეული ფორმატები, უფრო მეტად სახალხო დიპლომატიის მიმართულებით, თუმცა, ვისურვებდი, მომავალში უფრო ინტენსიური გახდეს ეს პროცესი. უკუგება იქითა მხრიდანაც იყოს მეტი და ამის გასაღებად წარმომიდგენია ის, რომ ჩვენ ეს დიალოგი საერთო ინტერესებზე ავაწყოთ. მთავარია, გარკვეულ საკითხებში, სადაც შესაძლებელი იქნება, პოლიტიკა გადავდოთ გვერდზე და ვისაუბროთ ჰუმანიტარულ გამოსავლებზე. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უფრო სტატუს ნეიტრალურ გამოსავლებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სტატუსის თემიდან გადავუხვიეთ. უბრალოდ გარკვეულ საკითხებში არის იმის შესაძლებლობა, რომ რაღაცეები გვერდზე გადაიდოს. საერთო ინტერესები არის ძალიან ბევრი, რომლის მონიშვნაც უკვე შეიძლება და სხვადასხვა ფორმატში მონიშნულია, დაწყებული ისეთი ფართო ინტერესიდან, როგორიც არის მშვიდობა, რომ უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ ჩვენს შვილებს და ჩვენს თაობასაც. მგონი ამაში ერთიანი ვართ.

ზოგადად, სამშვიდობო პოლიტიკას სხვა ალტერნატივა აქვს დღევანდელ რეალობაში? ხომ ვერ ვიტყვით, რომ ქართულმხა მხარემ გადაწყვიტა მშვიდობა?
ვფიქრობ, მშვიდობა უალტერნატივოა და მაგაზეც მოგახენებთ მოგვიანებით.

რა არის საერთო ინტერესების სპექტრი? იგივე მიმოსვლა, ადამიანები დღესაც სხვადასხვა მიზნით ძალიან რთულ პირობებში გადაადგილდებიან. ახლა პუნქტების ჩაკეტვასთან დაკავშირებით [ენგურზე] ძალიან სერიოზული დარტყმა იქნებოდა ეს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის, არა მხოლოდ გალის მოსახლეობისთვის, იმიტომ რომ ამ გამშვები პუნქტებით აფხაზეთის სხვა მოსახლეობაც სარგებლობს. ნათესავების მოსანახულებლად, ვაჭრობისთვის, ახალგაზრდები სხვადასხვა მიზნისთვის, გასართობადაც ჩამოდიან. ზოგადად, ამ კონტაქტების წახალისებას არანაირი ალეტერნატივა არ აქვს, მიუხედავად პოლიტიკურად განსხვავებული ხედვებისა, რომელიც დღეს შეიძლება არსებობდეს.

კი, მშვიდობა გვინდა, მაგრამ ამას უნდა ძალიან დიდი ძალისხმევა. როდესაც ოკუპირებულია ტერიტორიები, ჯარები, ტანკები დგას, მოსახლეობას აკავებენ, პატიმრები არიან, ინციდენტები ხდება – ისეთი მძიმე და ტრაგიკული, როგორც ოთხოზორიას მკვლელობა გახლავთ, მშვიდობას სერიოზული მუშაობა სჭირდება.

მგონია, რომ ახლა ზუსტად ის დროა, როდესაც ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლებაში არის ასეთი მზაობა და საზოგადოებაშიც. ვფიქრობ, გაცნობიერება მოხდა, რომ დღეს არსებული ვითარება არ არის არც ჩვენს, არც აფხაზების და არც ოსების, არც ევროპული უსაფრთხოების ინტერესში. პირიქით, ხელს გვიშლის განვითარებაში. შესაბამისად, უნდა ვეძებოთ გამოსავლები. ეს ვის ინტერესებსაც ემსახურება მოკლევადიანად, თქვენც კარგად იცით.

რუსეთისვისაც, გრძელვადიანად სტაბილური და განვითარებული საქართველო გაცილებით მომგებიანი იქნება, უბრალოდ დღეს კრემლში სხვანაირად ფიქრობენ. მაგრამ ჩვენ, ხალხებმა, რომლებიც დაშორიშორებული ვართ ამ ბარიკადებით, კონფლიქტის გამოცდილება გამოვიარეთ, ეს ყველაფერი უნდა გადავაფასოთ და ბარიკადების დაძლევაზე ვიფიქროთ.

ქეთი ციხელაშვილი, ფოტო: ნეტგაზეთი/ნინო კახიშვილი; 2017

საქართველოს იზოლაციის პოლიტიკაზეც მინდა გკითხოთ. ხშირად საუბრობენ ამ თემაზე აფხაზური და ოსური მხარეები. თუ გაქვთ ახალი ხედვები ამ საკითხზე, გამოსავლებზე?
ამოსავალი წერტილი ის არის, რომ სწორად დავინახოთ, რა და ვინ ახდენს ამ იზოლაციას. დიახ, დღეს ორივე რეგიონის მცხოვრებლები არიან იზოლირებული, მაგრამ იზოლირებული არიან მავთულხლართებით საქართველოსგან და შესაბამისად, დანარჩენი მსოფლიოსგან. იზოლაციის პოლიტიკას არ ატარებს საქართველო, იზოლაციის პოლიტიკა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქართველო, როგორც სახელმწიფო, მის ხელთარსებული ინსტრუმენტებით სარგებლობის შესაძლებლობას არ მისცემდა ორივე რეგიონის მცხოვრებლებს.

ჩვენი პოლიტიკა არ არის იზოლაციონიზმის პოლიტიკა, მაგრამ ემსახურება დეიზოლაციის ამოცანას, რომელსაც დღეს სხვა მხარე აკეთებს.

თუმცა, ქართული მხარე აცხადებს – ყველა ბენეფიტი შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ და მხოლოდ ქართული მხარის ჩართულობით. მაგალითად, აფხაზური მხარე ხშირად საუბრობს იმ ფუნდამენტურ უფლებებზე, როგორიცაა, მაგალითად, გადაადგილების უფლება, რომელსაც უზღუდავს ქართული სახელმწიფო.
უნდა ჩაიხსნას ეს დისკურსი პოლიტიზაციისგან. აღიარება და დეიზოლაცია არის სხვადასხვა განზომილება. თუ დეიზოლაცია გაიგივდება აღიარებასთან, რა თქმა უნდა, ეს მიზნები არ არის მიღწევადი, იმიტომ რომ არსებობს ხაზები და ეს ხაზები ჩვენთვის მოცემულობაა, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. რუსეთის აღიარების პოლიტიკა ფაქტობრივად ჩავარდა ამ წლების განმავლობაში. ორმა სახელმწიფომ, ფაქტობრივად, უკან გაიწვია ეს აღიარება. ამიტომ მკვეთრი ხაზია გასასვლები. ხშირად სამწუხაროდ, ეს არ ხდება. თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ შეუძლია თუ არა ჰუმანიტარული მიზნებისთვის მოგზაურობა აფხაზებს, ბევრ შემთხვევაში ეს შესაძლებელია, მაგრამ უკანონო დოკუმენტების აღიარება შეუძლებელია. გამოსავლის მოძებნა შეიძლება თუკი საკითხის დეპოლიტიზაცია ხდება. მოგზაურობაა ამოცანა, თუ პოლიტიკური აღიარება? თუ მოგზაურობაა, გამოსავლები არსებობს, თუკი მაინცდამაინც დროშის ფრიალი და სახელმწიფოებრივი ელემენტების გაჩენაა მიზანი, ეს რა თქმა უნდა, ვერ იქნება.

როგორ ფიქრობთ და რამდენად გჯერათ, რომ აფხაზები და ოსები აიღებენ საქართველოს პასპორტებს, წავლენ გარკვეულ რისკზე იმ ფონზე, როდესაც

80-90%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს და ასე თუ ისე, მაინც ახერხებს ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობას?
ჩვენი ვალდებულებაა, რომ ის, რაც დღეს გვაქვს, გავხადოთ ხელმისაწვდომი. უმეტესობას [იქ] აქვს არალეგიტიმური პასპორტი, რომელიც არ არის აღიარებული. ამ პასპორტების აღიარებაზე არ მიმდინარეობს საუბარი და ვერც წავა. ეს საქართველოს მასშტაბებსაც კი ცდება, ისეთი ინსტრუმენტია.

რუსული პასპორტები მაქვს მხედველობაში, რომლითაც ისინი დადიან
ჩვენ ახლა ვსაუბრობთ არალეგიტიმურ დოკუმენტზე და უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობაზე, რომელიც თვისობრივად სხვაა. მესმის, რომ იქიდან შეიძლება იყო ეს რეაქციები, მესმის კონტექსტი, რომ მარტივი არ არის მოსახლეობისთვის, მაგრამ ყოველშემთხვევაში, ჩვენი ამოცანა არ არის ხმამაღლა ქულების ჩაწერა. ვაკეთებთ ჩუმად დიდწილად და გაუმხელად და ამ სიფრთხილით, ამ მიდგომით, მგონია, დროთა განმავლობაში, როდესაც დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ინტერესი ნამდვილად არ არის საკითხების პოლიტიზაცია, თანდათან ეს მიმზიდველი გახდება, ვინაიდან აქამდე არარსებულ შესაძლებლობას იძლევა. ვისაც გვაქვს ქართული პასპორტები, იმათაც კი, საკონსულოებში საათობით გვიწევდა ლოდინი გაურკვეველი შედეგით, ახლა ეს ახალი შესაძლებელობა მხოლოდ სამოგზაუროდ წასვლას ხომ არ ნიშნავს. უამრავი სხვა კონტაქტის შესაძლებლობაა.

შეგიძლიათ გვითხრათ, რა პროცედურების გავლა მოუწევს ამ ადამიანებს ბიომეტრიული პასპორტების ასაღებად? ჩემი ინფორმაციით, პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივი და ბიოროკრატიულია დღეს.
ამიტომ ვამბობ, ჩემთვისაც ამოცანაა, რომ პარალელურ რეჟიმში, გასაგებ ენაზე კომუნიკაცია მოვახდინოთ და გასაგები ფორმითაც, და მაქსიმალურად გამარტივდეს, რამდენადაც შესაძლებელია. მათ შორის დროში და პროცედურულად. არის იქ რაღაც საკითხები, რომლებზეც ვმუშაობთ.

დავუშვათ ახლა ვინმეს მოუნდა საქართველოს ბიომეტრიული პასპორტის აღება, რა პროცედურები უნდა გაიაროს?
ჯერ უნდა დადგინდეს მათი მოქალაქეობა, ვინაიდან ეს არის ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისთვის – კონფლიქტამდე, 1992 წლამდე იქ მცხოვრები პირებისთვის და მათი შთამომავლებისთვის. შემდეგ ხდება დადასტურება მათ ხელთარსებული დოკუმენტებით, მერე ხდება ამ დოკუმენტების განხილვა, დადგენა მათი ლეგიტიმურად ცხოვრების ფაქტისა და იდენტობისა, რომ მოქალაქეობა მიიღოს.

ეს რამდენიმეთვიანია პროცედურაა ხომ?
არ არის მთლად ასე. შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვე. სწორედ იმიტომ, რომ რამდენიმე თვე არ გაგრძელდეს და მარტივი იყოს, ამაზე ვმუშაობთ. ჩვენ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ მაღალი პასუხისმგებლობაა ეს დოკუმენტი. ვალდებულებაც გავქვს, სახელმწიფოს და პარტნიორების წინაშე, გარკვეული უსაფრთხოების გარკვეული ზომები დაცული იყოს.

აფხაზური მხარე აცხადებს, რომ "ნეიტრალური პასპორტების" იდეა ქართულ მხარეს ჩაუვარდა. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენმა აიღო ამ ტიპის პასპორტი წლების განმავლობაში?
პირდაპირ გეტყვით, არ არის ბევრი. 200-ზე მეტი ასეთი დოკუმენტია გაცემული. ასე ქართული პასპორტებიც აქვს მოსახლეობის ნაწილს. ახლა ჩემი მთავარი აქცენტია ის, რომ ეს პასპორტები [საქართველოს მოქალაქის პასპორტი] უფრო მიმზიდველი გახდეს, ვიდრე "ნეიტრალური", იმის მიუხედავად, რომ 12 ქვეყანაში ეს "ნეიტრალური პასპორტი" აღიარებულია. ამასთან, გეტყვით, რომ "ნეიტრალური პასპორტები" რჩება და უფრო გამარტივებული წესით მოხდება მათი მიღება.

კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საზოგადოებისა და ექსპერტების ნაწილში განხილვის თემაა. რას ფიქრობთ ამ კანონზე, გაქვთ კონკრეტული ინიციატივები?
არასწორია ხოლმე, როდესაც კონტექსტიდან ამოგლეჯილად მხოლოდ კანონი განიხილება. მაგალითად, როდესაც, როგორც მინისტრის მოადგილეს და საპარლამენტო მდივანს რაღაც ცვლილება გამქონდა ხოლმე, ერთ ცვლილება კანონში მოითხოვდა კოდექსში ცვლილებას ორ კოდექსში. კანონში ავტომატურად ერთი ცვლილება რომ შევიდეს, ასე არ არის.

ამ კანონს ვუყურებთ როგორც ინსტრუმენტს, ნაბიჯების გადასადგმელად და არა თვითმიზანს, რომ გარკვეული ცვლილებები შევიდეს ან არ შევიდეს. ეს კანონი თავისი არსით ოკუპაციის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს და სამწუხაროდ, რადგან ოკუპაცია გრძელდება, კანონიც არსებობს და გაგრძელდება. ვისურვებ, კანონის გაუქმების საფუძველი გვქონდეს დეოკუპაციის სახით. ამიტომ კანონის გაუქმებაზე ცხადია, არ და ვერც ვისაუბრებთ,

თუმცა, რაღაც გარემოებები შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეს კანონი მიიღეს
ხო, მაგრამ ის რეალია არ შეცვლილა, რომ ტერიტორიები ისევ ოკუპირებულია. ეს კანონი ოკუპაციის წინააღმდეგ მუშაობს. მაგრამ

ამავდროულად, არ გვინდა, რომ დაზარალდნენ ადამიანები და ეს არის ჩვენი ამოსავალი წერტილი – უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად რას უშლის ხელს, თუ უშლის. ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ ბევრი მოქნილობაც დევს მასში. ჩემთვის ეს არის სერიოზული სამუშაო და კონტექსტიდან ამოგლეჯილად ვერ განვიხილავ. ადრეც შესულა კანონში ცვლილებები, მაგრამ წინა ხელისუფლების პირობებში საზოგადოება ინფორმირებული არ ყოფლა და შესაბამისად, მტკივნეულად არ განიცდიდა. მგონია, რომ პოლიტიზაცია ხდება. ჩემთვის გასაგებია, რომ ხელოვნულად ხდება გარკვეული საკითხების პოლიტიზაცია და ეს ძალიან სამწუხაროა, იმიტომ რომ საზოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს, რას ემსახურება ეს კანონი, რისთვის არის და რისთვის არ არის. ადამიანებს ხელი რომ შევუშალოთ, ამისთვის არ არის ის. ასე ვუყურებ მე ამ კანონს და საჭიროებისამებრ შესაძლო ცვლილებს ამ კანონში თუ სხვაგან, არ გამოვრიცხავ.

და რა არის ეს შესაძლო ცვლილებები, რომლებიც დაუყოვნებლივ შეიძლება რომ მიღებული იყოს?
თქვენ ახლა ისეთ რამეს მეკითხებით, რაზეც კი ვმუშაობთ, მაგრამ ამაზე ჯერ ვერ ვისაუბრებ.

როდის უნდა ველოდოთ ამ ცვლილებს?
ვფიქრობ, მალე. პარლამენტთან არის გასავლელი გარკვეული კონსულტაციები სწორედ იმისთვის, რომ ამის დემონიზაცია არ მოხდეს და საზოგადოებას კარგად ესმოდეს, რა ნაბიჯი რისთვის იდგმება.

წინა მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი აცხადებდა, რომ ორმხრივ არაოფიციალურ შეხვედრები ჰქონდა აფხაზურ მხარესთან რიგ საკითხებზე. და მაგალითად, პატიმრების გაცვლის საკითხიც ნაწილობრივ ასეთი შეხვედრების შედეგი იყო. თქვენც ხომ არ გაქვთ პირდაპირი კუმუნიკაცია მათთან მესამე მხარის გარეშე, და ზოგადად რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ შედეგების თვალსაზრისით პიროვნული კონტაქტები?
გარკვეული არხები და კონტაქტები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ კიდეც ერთხელ ვამბობ, რომ წინა ოთხი წელი ჩვენ იმისთვის გამოვიყენეთ, რომ კონტექსტი და აღქმა შეგვეცვალა და გაყინული პროცესი ნულიდან დაგვეძრა. მომავალში ვისურვებდი, უფრო მეტი დინამიკა შეიძინოს პროცესმა, ვიდრე გვქონდა ოთხი წლის განმავლობაში. ჩვენი საერთო სურვილი მაშინაც ის იყო, რომ მეტი ყოფილიყო ეს არხები, კონტაქტები და შედეგიანობაც, აქედან გამომდინარე. ამიტომ პრიორიტეტებში მონიშნულია, რომ საერთო ინტერესები განვიხილოთ და ვიმუშაოთ, საუკეთესო ვარიანტი იქნება

დიალოგის რეჟიმში მოვახერხოთ გარკვეულ რაღაცეებზე შეთანხმება. ეს იქნება ჩემი ამოცანა.

როგორ გესახებათ ეს დიალოგის რეჟიმი?
არსებობს გარკვეული მიმართულებები, მანამდეც რაც მუშაობდა. ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჩვენი პარტნიორების ხაზით.

თქვენ მონაწილეობთ ხოლმე არსებულ შეხვედრებში?
ეს არ არის ისეთი პერიოდულობის, რომელიც ფართო მასშტაბის ჩართულობის შესაძლებელობას იძლეოდეს. ამიტომ ვამბობ, მინდა რომ უფრო სხვა დინამიკაში იყოს. კონტაქტები არსებობს, მაგალითად, სამეკავშირეო მექანიზმი არსებობს, ზოგჯერ მესამე მხარე არის ის საერთაშორისო მხარე, რომელიც ასეთ ფასილიტაციას აკეთებს. ჟენევა არ არის ის ფორმატი რომელსაც მოვიაზრებთ პირდაპირი დიალოგის ფორმატად. რიგ საკითხებზე იქაც ვკომუნიკაციობთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვერიდებით, თუმცა, თავისი მოცემულობით, არსით და დღის წესრიგით, ეს არის განსახვავებული ფორმატი. ძალიან მნიშვნელოვანი და ერთადერთი, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ პოლიტიზირებულიც, რამდენადაც ძირითად საკითხზე არსებითი პროგრესი ჯერ არ გვაქვს და იმედი გვაქვს, რომ მომავალში მივაღწევთ.

როგორია თქვენი, როგორც მინისტრის ხედვა, სად იქნება ეს კონფლიქტები უახლოეს რამდენიმე წელში იმ სამშვიდობო პოლიტიკით, რა პოლიტიკაც დღეს ქართულ მხარეს აქვს?
ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, შევძლოთ ამ რისკების, გარკვეული დაბროკოლებების ნიველირება, რომელიც ყოველწუთს გვხდება. საუბედუროდ, რაც მეტია ინტრესი, კონტაქტი ხალხებს შორის, მეტი დაბრკოლება ჩნდება. ჩვენი ამოცანაა ყველა მხარის მიერ ეს კარგად იყოს აღქმული, რომ ჩვენი პლატფორმა არის ძალიან კონსტრუქციული, ქმნის იმ სივრცეს, რომ ყველა კონტრუქციულად იყოს ჩართული და არ არის ისე, რომ ვიღაც იგებს და ვიღაც აგებს. ჩემი ამოცანა და ამბიცია იქნება, რომ ამ პერიოდში ისეთი კონკრეტული შეთავაზებები და ნაბიჯები გადავდგათ, რომელიც ასეთი ჩართულობის შესაძლებლობას და სივრცეს შექმნის და მოამზადებს საფუძველს სხვა, უფრო მასშტაბური გადაწყვეტილებებისთვის.

ჩემთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საერთაშორისო მხარდაჭერა. ასევე ამბიცია, რომ კონფლიქტით დაზარალებული ადამიანის უფლებრივი

მდგომარეობა გაუმჯობესდეს. იგივე გალის მოსახლეობის მიმართ რაც ხდება, რა პირობებშიც უწევთ ყოფნა [განათლების შესაძლებლობა არ აქვთ მშობლიურ ენაზე, გასასავლელები იკეტება], შესაძლებელია გამოსავლების პოვნა. იმედს ვიტოვებ, რომ შესაბამის მხარეებთან ამის მიღწევის საშუალებები იქნება.

აქამდე თუ ვერ მოხერხდა ამ პრობლემების მოგვარება, რა მექანიზმები რჩება?

ეს ჩვენი დღის წესრიგია, რომ რაღაცნაირად ეს კედელი გავარღვიოთ, იმიტომ რომ ადამიანები ძალიან იტანჯებიან ყოველდღიურად, და არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველები, ჩვენთვის ხომ არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ეთნიკური წარმომავლობის არის ადამიანი. მავთულხლართი აქედანაც უშლის ხელს ჩვენს მოსახლეობს და იქიდან კიდევ ორმაგად. უნდა გავცნობიეროთ ეს. თან ძალიან დინამიურად მიდის დე ფაქტო ანექსიისკენ ნაბიჯები და ყველა სფეროზე აქვს რუსეთს ექსკლუზიური კონტროლი, როდესაც არ უშვებს საერთაშორისო მექანიზმებს შიგნით და ეს კონტროლი უფრო და უფრო შემაწუხებელი ხდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის მგონია, გვესმის და ვხვდებით რომ არსებობს კრიტიკული მიდგომები, რომელიც უფრო საჯარო ხდება ამ საზოგადოებებში.

არც ჩვენ ვიმყოფებით სტატიკურ მდგომარეობაში. ყველაფერი იცვლება ძალიან დინამიურად და სამწუხაროდ, ამ მიმართულებით იცვლება. ამიტომ მნიშვნელოვანია, გადავდგათ ნაბიჯები ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით და იქიდან გვქონდეს უკუგება. არ არის მარტივი. არც მე ვუდგები ამ ამბავს მიამიტურად. რა თქმა უნდა, ჩვენ მცდელობა ადრეც გვქონდა და გავაგრძელებთ ამას. უბრალოდ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს არის უალტერნატივო გზა მშვიდობისა და სტაბილურობისკენ. დარწმუნებული ვარ, რომ დაიშლება ეს მავთულხლართები და ეს დღე აუცილებლად დადგება, საქმე დროშია. 25 წელია ასეთ მოცემულობაში ვართ და ადამიანებისთვის ეს ძალიან დიდი პერიოდია. ისტორიისთვის შეიძლება არ არის დიდი პერიოდი. ერთი ცხოვრებითვის კი დიდია.

ჩვენ შიგნით საზოგადოებაშიც გასაცნობიერებელი გვაქვს ბევრი რამ. ვისურვებდი, რომ გამყოფი ხაზების იქით საზოგადოებაში კარგად მოხდეს ამ მოცემულობების დანახვა, საით მივდივართ, რა შეიძლება ამან მოგვიტანოს. მგონია, ამ მიმართულებით სწორი გზით მივდივართ. თუნდაც პატარა ნაბიჯები გადაიდგას, რომელსაც კონკრეტული ადამიანებისთვის ექნება დიდი შედეგი.

ამ დღეებში მაგალითად, IPRM-ის [ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი] შეხვედრა იმართება ერგნეთში. რამდენი წელია აღდგომის წინა პერიოდში მოთხოვნას ვაყენებთ, რომ ჰუმანიტარული ვიზიტები დაუშვან. ეს ხომ არ არის პოლიტიკური საკითხი, ეს არის სასაფლაოზე გასვლა, ეკლესიაში შესვლა. სტატუსს ხომ არ ვეხებით? ამაზე მაქვს საუბარი, ასეთ ნაბიჯებზე. აი, გალში მცხოვრები სკოლის ბავშვების გადასვლა-გადმოსვლის საკითხი. ამ გადასასვლელების ჩაკეტვით, ეს ბავშვები ფაქტიურად შესაძლებელობის გარეშე რჩებიან. 60 კილომეტრი როგორ შეიძლება იარო.

თუმცა, შედეგები არ ჰქონია არც საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებს ამ კუთხით.
მე მაინც სულ იმედს ვიტოვებ, რომ გაცნობიერებული იქნება. რა შედეგიც არ უნდა დადგეს, ჩვენი ამოცანა იქნება, რომ არა მხოლოდ გაიხსნას [გამშვები პუნქტები], გამარტივდეს გადაადგილება. ჩვენი მიდგომა ისაა, რომ რამდენადაც მაღალია ეს ბარიკადები, მეტი ძალისხმევა ვგჭირდება ჩვენც და ჩვენს პარტნიორებს, ხიდების ასაშენებლად.

გაზაფხულია და ხვნა-თესვის პერიოდი იწყება. კიდევ ელოდებით სიტუაციის გაუარესებას მიწების წვდომის საკითხში გამყოფ ხაზთან?
მიწის წვდომის საკითხი IPRM-ის განხილვის თემაა და ვაყენებთ ამას. იმიტომ დავდივართ ამ შეხვედრებზე და ვმონაწილეობთ, რომ იმედს ვიტოვებთ, რომ რაღაცნაირად ამ გარდატეხას მოვახდენთ.

ინტერვიუ "ნეტგაზეთთან"